სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №31
2026 წლის 29 ოქტომბერი

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 28/04/2015; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.120.016159) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებით დამტკიცებული „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის“:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომერციული ბანკის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს რეზოლუციის ან ლიკვიდაციის პროცესი;“;

ბ) ამოღებულ იქნეს პირველი მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი;

გ) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

„7^1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო პირობები, გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა, შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ვალდებულებებს, რაც ასახული უნდა იყოს საკონკურსო განცხადებაში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა სტურუა